ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

10 ოქტომბერი, ოთხშაბათი, 1990 წ.
№ 193 (10362) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



პრეტენდენტთა ტურნირი

ორი დღე — მხოლოდ სპორტით

სპორტული დღესასწაული ბევრი უნახავს ქუთაისს, მაგრამ 6 ოქტომბერს ქალაქის სპორტულ ბაზებზე გამართული ზეიმი განსაკუთრებული ზეაწეული განწყობით გამოირჩეოდა; არც იყო გასაკვირი — ამ დღეს ქალაქში აღინიშნა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაარსების ერთი წლისთავი. ამ დღისადმი მიძღვნილ სპორტულ ღონისძიებებში უამრავმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა. პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ სახალხო განათლების და პროფკავშირების სისტემების სპეციალიზებული სკოლის ფეხბურთელები, საქალაქო სპორტული სკოლის მორაგბეები, ბალახის ჰოკეისტები, სპორტკლუბ „ლოკომოტივისა“ და სამედიცინო სასწავლებლის მძლეოსნები, ტექნიკური უნივერსიტეტისა და ახალდაფუძნებული უნივერსიტეტის კალათბურთელები და ხელბურთელები, სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ ჭიდაობის სპორტსკოლის ფალავნები... ბუნებრივია, ასპარეზობაში მონაწილეთაგან გამარჯვებული გუნდები და სპორტსმენებიც გამოვლინდნენ, მაგრამ ეს არ იყო მთავარი, გავიხსენოთ ოლიმპიური პრინციპი — მთავარია მონაწილეობა.

მეორე დღეს შეჯიბრებებმა ქალაქის ცენტრში გადაინაცვლა. აქ უკვე სპორტული ნარდის, მკლავჭიდის, ქართული ჭიდაობის, ძალოსნობისა და ჭადრაკის მოყვარულები სცდიდნენ ძალებს.

სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ ქუთაისის საქალაქო საბჭოსა და ქალაქის სპორტკომიტეტის ინიციატივით გამართულ ამ სპორტულ ზეიმებს სპონსორობდნენ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის იმერეთის რეგიონალური ორგანიზაცია და საზოგადოება „ქუთაისელი“. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქუთაისელები ამ შაბათ-კვირას სპორტით „ცოცხლობდნენ“.

აღსანიშნავია, რომ ამ ღონისძიებებს წინ უძღოდა ქალაქის სპორტული საზოგადოებრიობის გაერთიანებული კრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სეოკ-ის იმერეთის რეგიონალური ორგანიზაციის, ქალაქის სპორტკომიტეტის, სპორტსაზოგადოებების — „შევარდენისა“ და „მართვეს“ საქალაქო საბჭოების და საზოგადოება „ქუთაისელის“ წარმომადგენლებმა. კრებამ მოიწონა აზრი — 6 ოქტომბერი გამოცხადდეს საქართველოს ეროვნული სპორტის სადღესასწაულო დღედ და გადაწყვიტა ქუთაისშიც ყოველწლიურად ამ დღეს გამართოს დღესასწაულისადმი მიძღვნილი სპორტულ-მასობრივი ღონისძიებები.



მოულოდნელობა, მაგრამ ასეთი?!

პრეტენდენტების ტურნირის დაწყების წინ ბევრი მიმომხილველი არ ასახელებდა ალისა გალიამოვას მთავარ ფავორიტთა შორის. რატომ? იმიტომ, რომ იგი ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეა (4 თვით მცროსია კახიანზე), შეჯიბრების დებიუტანტი და, ამდენად, ნაკლებად გამოცდილიც. გარდა ამისა, იმ გარემოებასაც ითვალისწინებდნენ, რომ ყაზანელი მოჭადრაკე (მას ახლა დიდოსტატი პანჩენკო ეხმარება) ვერ მოხვდა საზონათშორისო ტურნირში და საბჭოთა საჭადრაკო ფედერაციის ნამდვილი თავგამოდება რომ არა, მას ამ ასპარეზობაში არავინ დაუშვებდა. ერთი სიტყვით, ეჭვები, გალიამოვას შესახებ საკმაოდ იყო.

ახლა კი, როდესაც შეჯიბრება დაიწყო, გახალისებული გალიამოვა პარტიას პარტიაზე იგებს. მან მესამე ტურშიც გაიმარჯვა, როცა ნონა გაფრინდაშვილს ეთამაშებოდა. ეს კი ნამდვილად სენსაცია იყო. მსოფლიო ექსჩემპიონმა თამაში ლაზიერის წინა პაიკით დაიწყო, გალიამოვამ კი ნიმცოვიჩის დაცვას მიმართა, რომელიც კარგად აქვს შესწავლილი. გათამაშდა ამ რთული სადებიუტო სისტემის ერთ-ერთი ვარიანტი, ამ ბოლო წლებში რომ გახდა პოპულარული. დასაწყისში დაახლოებით თანაბარი პოზიცია ჰქონდათ მოთამაშეებს — გაფრინდაშვილის ბანაკში ლაზიერის ფრთაზე გაორებული პაიკები წარმოიქმნა, მაგრამ, სამაგიეროდ, მისი ფიგურები უფრო აქტიურად იყვნენ განლაგებულნი. ერთი სიტყვით, მეტოქეთა პოზიციებს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები ჰქონდათ — ახლა ყველაფერი მათ ხელოვნებაზე იყო დამოკიდებული. გაფრინდაშვილს, გასაგებია, არავითარ შემთხვევაში არ აძლევდა ხელს ყაიმი, ამიტომ იგი გამუდმებით უვლიდა გვერდს გაგრძელებას, ასეთ შედეგთან რომ მიაახლოვებდა. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ასეთი თამაში უფრო გალიამოვასათვის აღმოჩნდა ხელსაყრელი. ამასთან, ცაიტნოტიც მოახლოვდა და პარტია მოულოდნელი შედეგით დამთავრდა. რამდენადმე უარეს, მაგრამ რთულ პოზიციაში გაფრინდაშვილს მძიმე შეცდომა მოუვიდა, წააგო ეტლი და დანებდა. გალიამოვას, როგორც ლიდერის პოზიცია, მეტად განმტკიცდა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კახიან-იოსელიანის შეხვედრას. კახიანმა ორი დამარცხებით დაიწყო ტურნირი და ამრიგად უკანდასახევი გზა აღარ ჰქონდა. რაც შეეხება იოსელიანს, მან ვერ გამოიყენა ძალიან კარგი პოზიციები ახმილოვსკაიასა და გაფრინდაშვილთან. ერთი სიტყვით, ორივე მეტოქე მხოლოდ მოგებისაკენ მიისწრაფოდა. იოსელიანმა ამ ტურნირში უკვე მეორედ შიმართა ძველინდურ დაცვას, პარტია მეტად რთულ ბრძოლაში მიმდინარეობდა, კახიანს ერთგვარი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ყაიმი აღინიშნა.

კუალა-ლუმპურის საზონათშორისო ტურნირში მარიჩა სადებიუტო სიურპრიზი შესთავაზა სი ჟუნს და დაამარცხა იგი. ახლა პირიქით მოხდა — ჩინელმა გააძლიერა იგივე სადებიუტო ვარიანტი და გაიმარჯვა. ახმილოვსკაიამ დაამარცხა კლიმოვა — რიჰტროვა.

ამრიგად სამი ტურის შემდეგ მონაწილეთა სატურნირო მდგომარეობა ასეთია: გალიამოვას 3 ქულა აქვს, ახმილოვსკაიას, სი ჟუნსა და მარიჩს — ერთნახევარი, გაფრინდაშვილსა და იოსელიანს — თითო ქულა და ერთმანეთთან გადადებული პარტია, სადაც უპირატესობა გაფრინდაშვილის მხარეზეა, კლიმოვა-რიჰტროვას ერთი ქულა აქვს, კახიანს კი — ნახევარი.

მატიანე

ცოცხალი რომ ყოფილიყო, გუშინ ვიტალი დარასელიას 33 წელი შეუსრულდებოდა: არადა, ამ ნიჭიერმა ახალგაზრდამ ქართულ ფეხბურთში საკმაოდ ღრმა კვალი დატოვა. განსაკუთრებით სამახსოვროა მისი წვლილი 1981 წლის 13 მაისის გამარჯვებაში, რომელმაც თბილისის „დინამოს“ ყველაზე დიდი, შთამომავლობისთვის დაუვიწყარი წარმატება მოუტანა.

იმ ისტორიულ მატჩში დიუსელდორფის სტადიონზე მოხდა ის, რასაც ფეხბურთის ჭეშმარიტი გულშემატკივრები წლების მანძილზე ელოდნენ. იყო მრავალი უნაყოფო ცდა ევროპული ფეხბურთის უმაღლეს მწვერვალზე ასვლისა. იყო, რა თქმა უნდა, კონკრეტული სიხარულის დღეებიც. მაგრამ საბოლოო მიზნის მიღწევა 1981 წლამდე ვერაფრით მოხერხდა.

ეს მართლაც ბედნიერი დამთხვევა გახლდათ, თბილისის „დინამოში“ ამდენმა ნიჭიერმა ფეხბურთელმა რომ მოიყარა თავი. დიუსელდორფის წარმატებაც, ამდენად, ძნელი გზის ლოგიკური დასასრული იყო. ეს გამარჯვება ფეხბურთის ისტორიაში შევიდა და, ცხადია, არასდროს დაკარგავს მნიშვნელობას, ისევე როგორც არასდროს მეცემა დავიწყებას ვიტალი დარასელიას მაშინდელი თამაში.

ფეხბურთში ყველა დიდი გამარჯვება, როგორც წესი, გუნდის წევრების გარჯის შედეგად მოდის, მაგრამ ყოველ გამარჯვებას ჰყავს კონკრეტული ავტორიც (ან ავტორები). ის, რომ თბილისის „დინამო“ დიუსელდორფიდან სპპატიო თასით ხელდამშვენებული დაბრუნდა შინ, ვიტალი დარასელიას დიდი დამსახურება გახლავთ, ფეხბურთელისა, რომელმაც „კარლ ცეისის“ კარში მეორე, გადამწყვეტი გოლი გაიტანა. გამარჯვება, ალბათ ყველას კარგად გახსოვთ. მოვიდა იმ ლამაზი და მაღალტექნიკური რეიდის შედეგად, რომლის ერთი ფაზა ამ ფოტოსურათზეა აღბეჭდილი.

ფეხბურთის მოყვარულებს ახსოვთ დარასელიას ორი ცრუმოძრაობა, რომლითაც დაიწყო გადამწყვეტი რეიდი და რომელიც მეტოქის კარში გატანილი ულამაზესი გოლით დაგვირგვინდა. კარგად ახსოვთ იმიტომ, რომ იგი ათასჯერ ნახეს ტელეეკრანებზე განმეორებით და ზეპირად შეისწავლეს ქართველი ფეხბურთელის ყველა მოძრაობა. დიახ, ერთი ოსტატური მოძრაობა, ერთი უმაღლეს დონეზე შესრულებული ფინტი და ასეთი ნანატრი გამარჯვება! დარასელიას არასოდეს არ ამოუყვია საგანგებოდ თავისი იმდღევანდელი წვლილი. დიუსელდორფში გამარჯვებას იგი მთელი გუნდის დამსახურებად თვლიდა. ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ ამის თქმასაც ხომ კაცობა სჭირდება. ზუსტად ისეთი კაცობა, რომლითაც იყო გასხივოსნებული ამ შესანიშნავი ფეხბურთელის მთელი ცხოვრება.

• • •

ფოტო „ლელოს“ არქივიდან.

როგორც ცნობილია, დაიწყო კალათბურთელ ვაჟთა 58-ე საკავშირო ჩემპიონატი.

ტაშკენტი. აქ ასპარეზობენ „დინამო“ (თბილისი), ასკ (ალმა-ათა), — „დინამო“ (ფრუნზე) და „უზსტროიმეხანიზაცია“ (ტაშკენტი). პირველ მატჩში ჩვენი რესპუბლიკის კალათბურთელები ფრუნზელ თანაკლუბელებს შეხვდნენ და დამარცხდნენ—81:93.

მეორე შეხვედრა თბილისის „დინამომ“ ტაშკენტის „უზსტროიმეხანიზაციის“ გუნდთან გამართა და კვლავ დამარცხდა 81:83.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

პირველი მატჩები

ირკუტსკი. დონეცკის „შახტიორმა“ შეიცვალა სახელი და ახლა „სტროი-კერამიკად“ იწოდება. სასტარტო შეხვედრა დონბასის გუნდმა ადგილობრივ „სტროიტელთან“ გამართა და დაამარცხა იგი 111:105 (56:49). ამავე ჯგუფში ნიკოლაევის ნკი-მ კუიბიშევის „სტროიტელს“ აჯობა 92:63 (45:41).

ლიუბერცი. ამ ჯგუფში ორი შეხვედრა გაიმართა: „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — ასკ (რიგა) 124:82 (56:44); ვეფ (რიგა) — „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) 113:97 (58:54).

პეკინი მპატიჟება ოლიმპიადას

პეკინი. პრესკონფერენციაზე, რომელიც აზიის XI თამაშების დახურვას მიეძღვნა, ქალაქის მერმა ჩენ სიტუნმა განაცხადა, რომ ჩინეთი ყველაფერს იღონებს, რათა 2000 წლის ოლიმპიადის ჩატარების უფლება მოიპოვოს.

მერის ეს სიტყვები დააკონკრეტა ჩინეთის ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ უ შაოცუმ, რომელმაც აღნიშნა: „თავდაპირველად თხოვნით შევალთ მთავრობაში და როცა იგი ჩვენს წინადადებას მიიღებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სახელზე ოფიციალურ განაცხადს გავაგზავნით“. როგორც ცნობილია, 2000 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქის ვინაობა გაირკვევა 1993 წელს სოკ-ის მონაკოს სესიაზე.

პრესკონფერენციაზე სპეციალური განცხადებით გამოვიდა ჩინეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხე ჩეენლიანი, რომელმაც აღნიშნა, რომ ჩინეთი არ უჭერს მხარს აზიის მომავალი თამაშების (1998 წელი) ტაივანში ჩატარების იდეას. მან თქვა: „მიგვაჩნია, რომ ჯერ არ დამდგარა დრო, რათა ჩინეთის ტაიბეიმ 1998 წლის აზიადა მიიღოს. ტაივანის ხელისუფლების პრეტენზიები ეწინააღმდეგება აზიის ოლიმპიური კომიტეტის პრინციპებს“. მანვე მოთქვა რწმენა, რომ „ჩინეთის ტაიბეის ოლიმპიური კომიტეტი სწორად გაიგებს ამას“.

საკავშირო თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში

მომავალს-იმედის თვალით

შეიძლება მკითხველს უცნაურად მოეჩვენოს, მაგრამ ამ შეჯიბრების ანგარიში თითქმის ბოლოდან უნდა დავიწყოთ: საკავშირო თასის გათამაშების უკანასკნელ დღეს ჩვენმა მოჭიდავეებმა გვთხოვეს: ნუ დაგავიწყდებათ იმის აღნიშვნა, რომ შამილ მაგომედოვი, რომელსაც კარგად იცნობენ სპორტის ქართველი მოყვარულები, საცხოვრებლად დაესტანში გადავიდა, სპორტის სასახლეშიც მხოლოდ ჭიდაობის საყურებლად მოვიდა, მაგრამ რომ გაიგო გუნდს სჭირდებოდა, „საქართველოსთვის ყველაფერს გავაკეთებო“ და თითქმის მოუმზადებელმა იასპარეზა, და არცთუ ურიგოდ...

ბოლოსწინა დღეს უნდა გამოვლინა საკავშირო თასის მფლობელი გუნდის ვინაობა. მასპინძელთა მოწინააღმდეგე დილის შეხვედრებში (ნახევარფინალში) ბელორუსიის ნაკრები გაბლდათ, რომელშიც, როგორც ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, უმცროსი ალექსანდრე მედვედი გამოდიოდა. წინა შეხვედრებში ბელორუსმა ათლეტებმა ურიგო შთაბეჭდილება არ დატოვეს და მაყურებელი დაძაბულ ბრძოლას მოელოდა. უნდა ითქვას, რომ სტუმარსაც და მასპინძელსაც გვაოცებდა მაყურებელთა სიმცირე, არადა, როგორ სჭირდებოდათ ჩვენს ფალავნებს გულშემატკივართა მხარდაჭერა.

პირველ შეხვედრაში ელმან ნაგიევი (48 კგ) დამარცხდა. შემდგომ მიხეილ ჯაფარიძემ (52 კგ), დავით პოღოსიანმა (57) და შამილ მაგომედოვმა (62) ზედიზედ იზეიმეს გამარჯვებები, თუმცა მომდევნო წონებში უპირატესობა კვლავ ბელორუსიელთა მხარეს იყო და ისინი დაწინაურდნენ — 5:3. ზაზა ტყეშელაშვილის (100) გამარჯვების შემდეგ ჯერი მძიმეწონისან ლევან ებანოიძეზე მიდგა, რომელიც სწორედ ალექსანდრე მედვედს ხვდებოდა. ლევანი მესამე ნომრად ითვლება საქართველოს ნაკრებში, მედვედი კი, როგორც იცით, პრეტენზიას აცხადებს საუკეთესო მოჭიდავის სახელზე. მაგრამ ლევანმა აშკარად დაჯაბნა მეტოქე — ჯერ ქულები აართვა, შემდეგ კი მედვედი პასიურობისთვის მოხსნეს და მეტად პრინციპული შეხვედრა ამ ორ გუნდს შორის ფრედ — 5:5 დამთავრდა. საერთო ჯამში (ჭაბუკებს შორის გამართულ შეხვედრებსაც ვგულისხმობთ) გამარჯვება ჩვენს გუნდს დარჩა. მან მოიპოვა უფლება თასისთვის გადამწყვეტ შერკინებაში შეხვედროდა ფავორიტს — რუსეთის ფედერაციის ნაკრებს.

ასპარეზობას თვალს ადევნებდა წარსულში ცნობილი ფალავანი გურამ საღარაძე; ვისარგებლეთ შემთხვევით და ასპარეზობის კომენტარიც ვთხოვეთ:

— **პირველი ხუთი წონა ჩვენთვის ყოველთვის „აქილევსის ქუსლს“ წარმოადგენს, რუსეთის ფედერაციას კი მუდამ სტაბილური გუნდი ჰყავს, ამიტომ დროულად უნდა გამოვაწვრთოთ ახალგაზრდები, განსაკუთრებით იმ წონებში, სადაც გვიჭირს...**

თითქოსდა ამ სიტყვების დასტურად ე. ნაგიევმა და მ. ჯაფარიძემ ზედიზედ იოლად დათმეს შეხვედრები ძლიერ მეტოქეებთან. ვერაფერს იტყოდი, გამოცდილებას თავისი გაჰქონდა.

— **დავით პოღოსიანი ჯერ საკმაოდ ახალგაზრდაა, მხოლოდ თექვსმეტი წლისაა. პირველად მივეცით საშუალება უფროსთა შორის მოეხინჯა ძალა და ჯერჯერობით ამართლებს იმედებს. მართალია, შეხვედრა დათმო, მაგრამ მე პირადად კმაყოფილი ვარ მისი გამოსვლით: მეტოქედ ხომ ბაგამუტ უმახანოვი ჰყავდა, მეტად გამოცდილი და ძლიერი მოჭიდავე. დათმა მან მედგარი წინააღმდეგობა გაუწია. აი, შამილ მაგომედოვი, მოგეხსენებათ, გამოცდილი მოჭიდავეა, სტაბილურად ჭიდაობს და მისგან გამარჯვებას ველით.**

ასეც მოხდა — მაგომედოვმა დაამარცხა მეტოქე. ჯერი გიორგი ხინჩიკაშვილზე (68 კგ) მიდგა, რომელიც ასევე დებიუტანტი გახლდათ უფროსთა პაექრობაში.

— **გიორგი ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამოცდილი სპორტსმენია. აუცილებლად უნდა დაიმკვიდროს ადგილი ნაკრების ძირითად შემადგენლობაში, მისგან ჭაბუკობაში მიღწეული წარმატებების გამეორებას ველით. როგორც ხედავთ, ხალიჩაზე ფიცხელი ბრძოლა მიმდინარეობს...**

ხინჩიკაშვილის მცდელობამ თავისი გაიტანა და მისი მეტოქე მესამე გაფრთხილებისთვის მოხსნეს.

— **74 კილოგრამ წონით კატეგორიაში ახლა გვიჭირს, მომავალში იმედი ისევ ეროსი ელოშვილზე და გოჩა მაკოევზე უნდა დავამყაროთ; ისინი ამ შეჯიბრებაში არ გამოდიან...**

სამწუხაროდ, დადასტურდა გ. საღარაძის სიტყვები და ნუგზარ პატურაშვილმა საკმაოდ იოლად დათმო შეხვედრა გ. ხაზამოვთან. მომდევნო წონაში (82 კგ) დავით ხურცია ბოლომდე ენერგიულად იბრძოდა, ძირითადი დრო ფრედ — 3:3 დამთავრდა, მაგრამ დამატებით დროში დათმო ქულა. მამუკა რაზმაძემ (90 კგ) ს. ფრაევთან მეტად ლამაზად იჭიდავა და გაიმარჯვა კიდეც. ზაზა ტყეშელაშვილისა და ა. გოლოვკოს შეხვედრაში მსაჯებმა ორივე ფალავანი მოხსნეს. ბოლოს კვლავ იმარჯვა მძიმეწონისანმა ლევან ებანოიძემ და დაამარცხა ა. ტოკაევი. საერთო გამარჯვება მოიპოვა რსფსრ-ის ნაკრებმა — 5:4. ჩვენი გუნდი მეორე ადგილზე გავიდა.



— **ჩვენმა მძიმე წონის ათლეტებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს თავიანთი სიძლიერე. ვფიქრობ, აქ თამბათა ცვლის პროცესს გუნდი უმტკივნეულოდ გადაიტანს. თვით დავით გობეჯიშვილსაც კი ჰყავს კონკურენტები, რაც მას კარგ სამსახურს უწევს და არ აძლევს უურადღების მოდუნების საშუალებას. თუ ყველა წონაში ახეთი რეზერვი გვეყოლება, უკეთესად იქნება ჩვენი გუნდის საქმე.**

ბოლო დღეს თასის გათამაშების პირადი პირველობა მოეწყო. ჭაბუკთა შორის გუნდურ ასპარეზობაში გამარჯვებულნი ხვდებოდნენ უფროსთა შორის გამარჯვებულებს, წარმატებასთან ახლოს იყვნენ ივანე ყუშიტაშვილი, შამილ მაგომედოვი, ზაზა ტყეშელაშვილი, მაგრამ საბოლოოდ მეორე ადგილებს დასჯერდნენ. ზ. ტყეშელაშვილმა ტრავმის გამო ბრძოლა ვერ გააგრძელა. სამაგიეროდ, მძიმე წონაში მაყურებელმა „ქართული ფინალი“ იხილა — ლევან ებანოიძე და მერაბ ვალიევი შეხვდნენ ერთმანეთს. სწორედ ეს ორთაბრძოლა გამოდგა ყველაზე ხანგრძლივი, იგი 15 წუთს გრძელდებოდა, ვიდრე ლ. ებანოიძემ გამარჯვების ქულა არ მოიპოვა და მასთან ერთად — თასიც.

საკავშირო თასის გათამაშების დამთავრების შემდეგ ვესაუბრეთ საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელს — ვლადიმერ მესტვირიშვილს.

— ისე მოხდა, რომ თასის ფლეგანდელი გათამაშება მთავარი ჩემპიონატის დამთავრებას ემთხვევა. ეს ჭეშმარიტ მოეწყო. სამწუხაროდ, თბილისის ხალიჩაზე მსოფლიო ჩემპიონატის ვერც ერთი მონაწილე ვერ ვიხილეთ — მათ დასვენება ესაჭიროებათ. ამ გარემოებამ ჩვენი გუნდის შედეგსაც დაეჩნია კვალი. ნაკრების ძირითადი ბირთვის ნაცვლად ახალგაზრდებს მივეცით ძალების მოსინჯვის საშუალება. მათი გამოსვლა იმედს გვაძლევს, რომ გუნდი, რომელიც ამჟამად თაობათა ცვლას განიცდის, მომავალში უფრო გაძლიერდება.

— თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა კოლექტივი დღეს სწორ გზას ადგას, — გვითხრა ჭიდაობის რესპუბლიკური გაერთიანების დირექტორმა ომზარ შოშიტაშვილმა — ახალგაზრდების წარმატება კი საფუძველს გვაძლევს, რომ მომავალსაც იმედით უნდა ვუცქიროთ.

გია ბურდული

21 ᲙᲕᲘᲠᲘᲗᲘᲡᲚᲐᲢᲘ

გუნდური. I. რსფსრ; II. საქართველო; III. ბელორუსია.

პირადი. 48 კგ. 1. კ. ორუზბაევი (ბელორუსია), 2. ი. ყუშიტაშვილი (საქართველო), 3;. რ. ბაზრეტდინოვი (ყაზახეთი);

52 კგ. 1. შ. მამიროვი (ყაზახეთი), 2. ს. ეტშტატიანი (სომხეთი), 3. ნ. ჭკუასელი (საქართველო);

57 კგ. 1. კ. სიმონიანი (სომხეთი), 2. ა. ალიჯანოვი (აზერბაიჯანი), 3. გ. სისაური (საქართველო);

62 კგ. 1. ა. მუხტაროვი (რსფსრ), 2. შ. მაგომედოვი (საქართველო), 3. ა. ბარდახანოვი (რსფსრ);

68 კგ. 1. ნ. ისაევი (აზერბაიჯანი). 2. ო. ოვსეპიანი (სომხეთი), 3. ა. ასადოვი (აზერბაიჯანი);

74 კგ. 1. ხ. ხაჩანოვი (რსფსრ), 2. ვ. გაბაევი (რსფსრ), 3. გ. ივანიშვილი (საქართველო);

82 კგ. 1. ა. სავკო (ბელორუსია), 2. შ. ბერდიევი (რსფსრ), 3. რ. კოტინოვასოვი (რსფსრ);

90 კგ. 1. ს. კოვალევსკი, 2. ს. ფრაევი (ორივე — რსფსრ), 3. შ. აბდულრახმანოვი (ბელორუსია);

100 კგ. 1. დ. მაგომედოვი (რსფსრ), 2. ზ. ტყეშელაშვილი (საქართველო), 3. ა. გოლოვკო;

მძიმე. 1. ლ. ებანოიძე (საქართველო), 2. შ. ვალიევი (საქართველო), 3. ა. შუმილინი (რსფსრ).

ᲔᲛᲠᲐᲕᲚᲝᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ „ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲖᲝᲜᲔᲑᲡ“...

ვისაც ამ უკანასკნელ ხანებში სპორტის სასახლისკენ ჩაუვლია, უთუოდ შეამჩნევდა სასახლის მარცხენა კუთხეში, ფიზკულტურის ქუჩაზე, აღმართულ ხარაჩოებს, სპეცტანსაცმელში გამოწყობილ მოფუსფუსე მუშებს, ამწეებსა და თვითმცლელ ავტომანქანებს.

ეს ყოველივე ბუნებრივია, მშენებლობის ატრიბუტია,. რითაც თბილისში ვერავის გააკვირვებ. მაგრამ, საბედნიეროდ, ამჯერად აქ კომპლექსური სპორტული ბაზა შენდება, რაც ესოდენ მცირე რაოდენობით არის თბილისში.

როგორც სპორტის სასახლის დირექტორმა — თენგიზ ლომიძემ გვითხრა, ბაზას „ჯანმრთელობის ზონას“ უწოდებენ. ტერიტორია, სადაც სპორტული კომპლექსი შენდება, აუთვისებელი, გამოუყენებელი იყო და სასახლის დირექციამ გადაწყვიტა კიდევ უფრო გაეფართოებინა სპორტის სასახლის — რესპუბლიკაში ჯანმრთელობის ამ ერთ-ერთი საუკეთესო კერის სპორტული ბაზები. „ჯანმრთელობის ზონას“ (დირექტორი ჯონი გიგანი) ექნება 3 საცურაო აუზი, ჩოგბურთის კორტები, მაგიდის ჩოგბურთის სათამაშოდ განკუთვნილი ტერიტორია, ათლეტიზმის დარბაზი და, რა თქმა უნდა, თანამედროვე მოთხოვნილებების გათვალისწინებით — საუნა და საშხაპეები.

მართალია, სპორტული ბაზებით სარგებლობის მსურველებს აბონემენტების შეძენა დასჭირდებათ (აქ ფასიანი მომსახურების ჯგუფები იმუშავებენ), მაგრამ ყოველთვიურად ორიოდე მანეთის გადახდა რა ბედენაა, თუკი მის საფასურად ჯანმრთელობას შევიძენთ.

ამჟამად კი „ჯანმრთელობის ზონაში“ სამონტაჟო და მოსაპირკეთებელი სამუშაოებია დარჩენილი, ცოტაც და თბილისელებს შეეძლებათ „ზონის“ კეთილმოწყობილი სპორტული ბაზებით სარგებლობა.



ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

თბილისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტში გაიმართა ქალაქის საჭადრაკო ფედერაციის პლენუმი. თბილისის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩიეს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თანამშრომელი, დოცენტი ზურაბ ჩაჩუა.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲐ ᲬᲔᲠᲓᲐ...

ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲜᲝᲑᲐ

„რაც დღე მოდის, ძველებური დროს გატარება სულ უფრო და უფრო სუსტდება. სადღაა ახლა წინანდელი ჯირითი, ყაბახი, ნიშანში თოფის სროლა, ბურთაობა და სხვ. ვარჯიშობა?

მაშინ, როდესაც განათლებულ ევროპაში საგანგებოდ აარსებენ სხვადასხვა საზოგადოებას სხეულის სავარჯიშოდ. ჰსურთ აღადგინონ ძველ ბერძენთა ოლიმპის თამაშობანი, — ჩვენ, რომელთაც ყოველი ესე სასესხებად და გადმოსაღებად არა გვქონდა, სამწუხაროდ, ყველა ამას ვივიწყებთ და სამაგიეროდ ისეთს ზნესა და ჩვეულებას ვითვისებთ, რომელიც არც სულს არგია და არც ხორცს.

დასავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ არ მოსპობილა მთელად ჯირითი და ბურთაობა, თუმცა დრომ თავისი ხელი აქაც შესამჩნევად დაატყო...

ევროპაში მხოლოდ ერთსს ადგილს შოტლანდიაში, იციან ბურთის თამაში სწორედ ისე, როგორც იმერეთში, ინგლისელებს დიდათ უყვართ ეს თამაში საზოგადოდ, ინგლისელი განსხვავებულს ყურადღებას აქცევს ფიზიკურს ვარჯიშობას და ინგლისის სასწავლებლების პროგრამაში ფიზიკურს ვარჯიშობას უპირველესი ადგილი უჭირავს.

ძვირად შეხვდები ინგლისელს, რომ ცხენოსნობა, მენავობა, ცურვა, ბოქსი, ბურთაობა, ნადირობა და სხვა ამ გვარი ვარჯიშობა არ იცოდეს. ამიტომ ინგლისელი კაცი დიდად განსხვავებულია სხვაზედ, როგორც ჯანმრთელობით, ისე სულის სიფხიზლითაც.

სრულიად არ გვესმის, რად უნდა დავივიწყოთ ეს ჩინებული — თვალისა და გულისათვის სასიამოვნო ძველებური, ჩვენთა მამა-პაპათა დროს გატარების წესი, რომელსაც მრავალი სასიკეთო ხასიათი აქვს?

ამ ვარჯიშობათა შორის ბურთაობა, რასაკვირველია, ერთი უკეთესთაგანია, რადგანაც აქ. გარდა ღონისა, მოთამაშეს სჭირია სისწრაფე მუხლისა, ხელისა და თვალისა. ვისაც კარგი ბურთის თამაში უნაახავს. სადაც ცხენოსნებიც ღებულობენ მონაწილეობას, იმან იცის, რომ ამგვარ ბურთის თამაში ნამდვილი ომია, სადაც კარგი მოფიქრებაც საჭიროა, და რაზმების თავთავის დროზედ მიშველებაც გამარჯვების მოსაპოვებლად.

დღეს სწორედ ამ გვარი ბურთის თამაშია დანიშნული ვოკზალის ახლო, ნაძალადევის გაღმა გორაზე.

ასეთი განზრახვა ძველებურ დროს გასატარებელ თამაშობათა აღსადგენად, უეჭველად ჩინებულია, და ვისურვებთ, რომ ამას სხვა ჩვენთა წინაპართა სხვა მრავალი ვარჯიშობანიც მოჰყვეს: ყაბახი, ჯირითი, ნიშანში თოფის სროლა და სხვ.

ყოველივე ესე, გარდა იმისა, რომ აშორებს უქმ დღეზე ხალხს ლოთობას და უგზო-უკვლო ხეტიალს, შემოხვევასაც მისცემს თითოეულს გამოიჩინოს თავისი ძალ-ღონე, სიმარჯვე და ისეთი ფიზიკური ღირსებანი, რომელსაც ფასი არასოდეს არ დაეკარგება.

მაგრამ საჭიროა რომ ჩვენმა ახალ-გაზრდა კაცებმა, სხვათა შორის, ამ საქმისთვისაც მოიცალონ, და საერთო თამაშობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ“.

მეველე

„ივერია“, 1894 წ. 24 აპრილი.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

„ოდიში“ (ზუგდიდი) — „დილა“ (ბორი) 3:1 (2:0)

ზუგდიდი. ცენტრალური სტადიონი. 6 ოქტომბერი.

„ოდიში“: ჭანტურია, კვიტაციანი, ხართანია, თუთბერიძე, ჯავაშვილი, ბაჯუა, მალანია, შეროზია (ვანეიკიანი), ბიგვავა, ზდანჩუსი (ტიბუა), თევზაძე (გოგოხია).

„დილა“: ჩოჩიევი, კონდრატიევი, გაგნიძე, ქობულოვი, მელქაძე, შავდათუაშვილი (დვალიშვილი), მარუხაშვილი, ბალაბანოვი, მარღიშვილი, მჭედლიშვილი, ხორგუაშვილი.

მსაჯები: თ. ლაცაბიძე, ზ. ლაცაბიძე (ორივე—თბილისი), ა. ყიფიანი (მცხეთა).

მართლაც რომ ჩინებული საფეხბურთო ამინდი იდგა ზუგდიდში, მაყურებელიც საკმაოდ მოვიდა. ორივე გუნდს ყველა შესაძლებლობა ჰქონდა გამოევლინა თავისი ოსტატობა.

მატჩის პირველ ათ წუთში ვერ იტყოდი, ვის მხარეს იყო უპირატესობა, ვერც ერთმა მხარემ ვერ აიწყო თამაში. მეათე წუთზე ბიგვავამ და შეროზიამ განახორციელეს მწვავე რეიდი, რომლითაც გამოიკვეთა მასპინძელთა უპირატესობა. მე-15 წუთისათვის ოდიშელები მატჩის სადავეებს ფლობდნენ. შეროზია, მალანია, ბიგვავა, ზდანჩუსი „დილას“ კართან ამწვავებდნენ სიტუაციას, მაგრამ მცველები ზუსტად თამაშობდნენ. 35-ე წუთზე ზდანჩუსის იერიში მათ კუთხურზე მოიგერიეს. კუთხური მალანიამ და ბიგვავამ გაითამაშეს. ამ უკანასკნელმა კარგად შეაშჩინა უყურადღებოდ დარჩენილი შეროზია და დაუყოვნებლივ მიაწოდა მას ბურთი, რომელმაც თავური დარტყმით გახსნა ანგარიში. მე-40 წუთზე თევზაძემ გრძელი პასით გარღვევაზე გაიყვანა ბიგვავა, რომელიც მარჯვენა ფრთიდან პირისპირ გავიდა მეკარესთან და არ გასჭირვებია ანგარიშის ორამდე გაზრდა.

მეორე ნახევარში სტუმრებმა არაერთი სახიფათო შეტევა განახორციელეს. მე-60 წუთზე საპასუხო გოლიც უნდა გაეტანათ, მაგრამ კართან ახლოს მდგომმა დვალიშვილმა ბურთს ფეხი აიცილა. ორი წუთის შემდეგ კი მელქაძეს და ხორგუაშვილს გაუცუდდათ დარტყმა. 75-ე წუთზე ტიბუამ და მალანიამ ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს საჯარიმო ხაზთან — მალანიამ მოულოდნელად დაარტყა ჩოჩიევის კარში და ანგარიში სამამდე გაზარდა. მატჩის მიწურულს, 84-ე წუთზე ხორგუაშვილმა შეძლო პრესტიჟის გოლის გატანა— ოცდათხუთმეტი მეტრიდან ძლიერი დარტყმით აიძულა ჭანტურია საკუთარი კარიდან გამოეტანა ბურთი. 3:1—ასე დასრულდა ეს მატჩი.

ნუგზარ ჟვანია,
„ლელოს“ ხაკ. კორ.

ინციდენტი ქუთაისის სტადიონზე

7 ოქტომბერს ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ეროვნული საფეხბურთო თასის გათამაშების განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩი ადგილობრივი „ქუთაისისა“ და ლანჩხუთის „გურიის“ გუნდებს შორის. თამაშის დამთავრების შემდეგ ქუთაისელ გულშემატკივართა ერთმა ნაწილმა იერიში მიიტანა სტადიონის ადმინისტრაციულ შენობაზე, სადაც ლანჩხუთელი ფეხბურთელები და მატჩის მსაჯები იმყოფებოდნენ. „გულშემატკივრები“ მოითხოვდნენ სამაგიეროს გადახდას „გურიის“ ფეხბურთელების მიმართ — სექტემბრის თვეში ლანჩხუთში გამართული მატჩის დროს ქუთაისელი ფეხბურთელების შეურაცხყოფისათვის.

ჩატარებული ახსნა-განმარტების შემდეგ საღამოს ცხრის ნახევრისთვის ინციდენტი დასრულდა და ხალხი დაიშალა. ხორციელდება ღონისძიებები აღნიშნული აქციის ორგანიზატორთა და უშუალო შემსრულებელთა დასადგენად და პასუხისგებაში მისაცემად.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.

საქართველოს თასზე

გუშინ სოხუმში საფეხბურთო კლუბმა „ცხუმმა“ საქართველოს თასის პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში ბათუმის „ბათუმს“ უმასპინძლა და გაიმარჯვა დიდი ანგარიშით — 4:0.

დღეს თბილისის ეროვნულ სტადიონზე თბილისის „იბერია“ საქართველოს თასის ნახევარფინალურ მატჩში უმასპინძლებს ლანჩხუთის „გურიას“.

უცხოეთის ფეხბურთის ეროვნული ჩემპიონატები

ბეკენბაუერმა გამოაცხადა შემადგენლობა

31 ოქტომბერს რომში, პელეს იუბილესთან დაკავშირებით, ერთმანეთს ხვდებიან ბრაზილიისა და მსოფლიოს ნაკრებები. ფრანც ბეკენბაუერმა, რომელსაც მსოფლიო ვარსკვლავების ნაკრების შედგენა დაევალა, გუნდში შემდეგი ფეხბურთელები მიიწვია: მეკარეები — — ილგნერი (გფრ). იგუიტა (კოლუმბია). შილტონი (ინგლისი); მცველები — ჰასამი (ეგვიპტე), ლარსონი (შვეცია), უოკერი, რაიტი (ორივე — ინგლისი). ბრემე (გფრ); ნახევარმცველები — მარადონა. ბურუჩაგა (ორივე — არგენტინა), გესკონი (ინგლისი), რიიკარდი, გულიტი (ორივე—ჰოლანდია), მათეუსი (გფრ); თავდამსხმელები — მილა (კამერუნი), სოსა (ურუგვაი), კანიჯა (არგენტინა), ვან ბასტენი (ჰოლანდია), ფიოლერი და კლინსმანი (ორივე — გფრ). მაგრამ ალბათ ამ ფეხბურთელთაგან ბურუჩაგა სერიოზული ტრავმის გამო ვერ გამოვა მინდორზე.

გამოცხადდა, რომ, რადგან სამი დღის შემდეგ უნდა გაიმართოს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის მნიშვნელოვანი მატჩი იტალიისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებს შორის, ამიტომ ამ გუნდებიდან მსოფლიო ვარსკვლავთა „რაზმში“ არავინაა მიწვეული.

მიშელ პლატინი წინაალმდეგია

ფეხბურთის საერთაშორისო წრეებში დიდი გამოხმაურება ჰპოვა ცნობამ იმის შესახებ, რომ ფიფა-ს გადაწყვეტილი აქვს საერთო შედეგიანობის ამაღლების მიზნით გააფართოოს საფეხბურთო კარების ზომები. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ფიფა-ს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საფეხბურთო კარების ზომების გაზრდის ერთ-ერთი უმთავრესი მოტივი ისიცაა, რომ ადამიანის სიმაღლემ და ფიზიკურმა მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა მას მერე, რაც 1866 წელს დადგინდა კარის ამჟამად არსებული ზომები.

ამის თაობაზე თავისი აზრი გამოთქვა წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა, საფრანგეთის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა მიშელ პლატინიმ.

— ისინი ამტკიცებენ, რომ ადამიანები ახლა უფრო მოზრდილები არიან, — თქვა პლატინიმ. საკითხავია, განა ასევე არაა ჩოგბურთში, კალათბურთში, გოლფში, ფრენბურთში, მაგრამ აზრად არავის მოსვლია აამაღლოს ბადე, გააფართოოს კალათი და ა. შ. ამიტომაც ძელების გადაადგილება და კარის ზომების გაფართოება ახალს არაფერს მოგვიტანს. უბრალოდ, გუნდები უფრო გააძლიერებენ დაცვას და მეტოქეს ხელს შეუშლიან კარში დარტყმის განხორციელებაში.

ნაცვლად ამისა, მ. პლატინიმ გამოთქვა აზრი, აიკრძალოს მეკარისთვის ბურთის უკან მიწოდება. ასეთი აკრძალვა მცველებს აიძულებს სხვა, უფრო ეფექტური ვარიანტები ეძებონ — ფიქრობს პლატინი.

კვლავ მწვანე მინდორზე

46 წლის ასაკში ფეხბურთს დაუბრუნდა არგენტინის ნაკრების ყოფილი მეკარე ჰუგო გატი. მან ხელშეკრულება დადო კლუბ „დეპორტივო ესპანიოლთან“. გატი, რომელიც მეტად პოპულარულია არგენტინაში, ერთი წლის წინ ოფიციალურად გამოეთხოვა ფეხბურთს, დაამთავრა გამოსვლები „ბოკა ხუნიორსში“, მაგრამ... ცნობამ გატის დაბრუნების შესახებ ყველა არგენტინელი გაზეთის ფურცლები მოიარა და გულშემატკივართა დიდი აღტაცება გამოიწვია.

სამწუხარო გამოსავალი

იმის გამო, რომ მაინის ფრანკფურტის „აინტრაჰტს“ დიდი ვალი დაედო (5,8 მილიონი მარკა) და მისი დაფარვის სხვა გზა ვერ გამონახეს, „ლუბმა“ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა გფრ-ის ნაკრების წევრის ანდრეას მიოლერის (24 ყიდვა, რაც უთუოდ უდიდესი დანაკლისი იქნება „აინტრაჰტისათვის“.

ფიფა წინაალმდეგია

იმასთან დაკავშირებით, რომ „ლივერპულის“ შავკანიანმა მეკარემ ბრიუს გრობელაარმა ინგლისის მოქალაქეობა მიიღო, დაისვა საკითხი მისი ინგლისის ნაკრებში მიწვევის შესახებ. მაგრამ ინგლისის საფეხბურთო წრეების მესვეურთა სურვილს ფიფა-მ ცივი წყალი გადაასხა. გრობელაარს არა აქვს ინგლისის ნაკრებში გამოსვლის უფლება, რადგან იგი ადრე ზიმბაბვეს ნაკრებში გამოდიოდა — ასეთი პასუხი მიიღო ინგლისის ნაკრების ახალმა „კანდიდატმა“.

ერთი ნაბიჯი ბედნიერებიდან... უბედურებამდე

გფრ-ის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ერვინ კოსტედე დაამტკიცა ძარცვაში მონაწილეობისათვის. არადა, კოსტედე პირველი ზანგი ფეხბურთელია, რომელმაც გფრ-ის ნაკრებში თამაშის უფლება მიიღო და ერთ დროს არცთუ ცუდად გამოდიოდა.

კალიგიური — „ჰანზაში“

აშშ-ის ნაკრების წამყვანი ფეხბურთელი პოლ კალიგიური, რომელიც მსოფლიოს უკანასკნელ ჩემპიონატში მონაწილეობდა, გერმანიის კლუბ „ჰანზაში“ (ქ. როსტოკი) ჩაირიცხა.

● **რომი.** იტალიის ჩემპიონატის მორიგ ტურში „ნაპოლიმ“ სტუმრად ფრედ დაამთავრა თამაში „გენუასთან“ — 1:1. კოკისპირული წვიმის გამო მატჩის დაწყებამ 45 წუთით დაიგვიანა, ნეაპოლელები შესუსტებული შემადგენლობით გამოდიოდნენ, კერძოდ, არ თამაშობდა მარადონა. 63-ე წუთზე ანგარიში გახსნა კლუბის მიერ „პიზადან“ სულ ახლახან შეძენილმა ფორვარდმა — ინკოჩატიმ, რამდენიმე წუთის მერე „გენუას“ ურუგვაელმა ფეხბურთელმა აგილერამ საპასუხო ბურთი გაიტანა. აღნიშნავენ „ნაპოლის“ ნახევარმცველ ალეგოს შესანიშნავ თამაშს.

„ნაპოლის“, რომელიც მოსკოვის „სპარტაკის“ მეტოქეა ევროპის ჩემპიონთა თასის მერვედფინალში, ამჟამად 5 ტურის შემდეგ მხოლოდ 4 ქულა აქვს. გათამაშების ცხრილში იგი XII-XV ადგილებს იყოფს. 9 ქულით ლიდერობს „მილანი“, რომელმაც თავის მინდორზე დაამარცხა „კალიარი“ — 2:0, ორივე ბურთი გაიტანა ჰოლანდიელმა ვან ბასტენმა.

● **მადრიდი.** მოსკოვის „ტორპედოს“ მეტოქემ უეფა-ს თასის მეთექვსმეტედფინალში — „სევილიამ“ ესპანეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში ანგარიშით 1:0 დაამარცხა ვალიადოლიდის „რეალი“. ლიდერობს „ბარსელონა“ (20 ქულა), „სევილიას“ და მადრიდის „რეალს“ 9-9 ქულით მეორე-მესამე ადგილები უკავია.

● **პარიზი.** უეფა-ს თასზე ოდესის „ჩერნომორეცის“ მეტოქე „მონაკო“ საფრანგეთის ჩემპიონატში 20 ტურის შემდეგ 15 ქულით მესამე ადგილზეა. მონაკოელებმა „კანთან“ შეხვედრაში გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1. ამ მატჩში თავი გამოჩინა არგენტინელმა დიასმა, აგრეთვე, პასიმ. 20-20 ქულით ლიდერობენ „ოსერი“ და „მარსელი“.

● **ბრატისლავა.** ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მერვედფინალში კიევის „დინამოს“ მეტოქეა პრაღის „დუკლა“. ეს გუნდი კავლავ წარუმატებლად თამაშობს ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონატში. კერძოდ, განვლილ მე-8 ტურში „დუკლამ“ მარცხი იწვნია „სიგმასთან“ შეხვედრაში — 0:4.

I ჯგუფი

„ხულორი“ (ვანი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 6:2. მსაჯი მ. ჭელიძე (თბილისი). გოლები: ვ. ბრეგვაძე, ორმოცაძე, პაიკიძე, ხურცილავა, ბ. ბრეგვაძე, ვერულაშვილი („ხულორი“), ლობჟანიძე, ელიზბარაშვილი („დურუჯი“).

„ბახტრიონი“ (ახმეტა) — „შუქურა“ (ქობულეთი) 1:1. მსაჯი ლ. ჩიტაია (თბილისი). გოლები: თედეშვილი („ბახტრიონი“), გოგმაჩაძე („შუქურა“).

ერთმანეთთან წაკინკლავებისთვის გააფრთხილეს გ. ხოხობაშვილი („ბახტრიონი“) და ე. აშბა („შუქურა“).

ფიზკ. ინსტ. (თბილისი) — „ხიონი“ (ბოლნისი) 2:0. მსაჯი ნ. კალაძე (თბილისი). გოლები: მაისურაძე, ამაშუკელი (ფიზკ. ინსტ.).

„არაგვი“ (დუშეთი) — „ხაპოვნელა“ (თერჯოლა) — 0:0. მსაჯი ი. მეჭერიშვილი (გურჯაანი).

„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 2:0. მსაჯი ა. შილაკაძე (თბილისი). გოლები: ქაშაკაშვილი, სევასტოპულო („მაღაროელი“).

„ჩიხურა“ (საჩხერე) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 2:3. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (თბილისი). გოლები: მწყეტრაშვილი-2 („ჩიხურა“), ბრეგვაძე-2, ნ. კიკნაძე („მარგვეთი“).

„კახეთი“ (თელავი) — „იმერეთი“ (ხონი) 2:1. მსაჯი ო. გუნთაძე (თბილისი). გოლები: ჭვრიტიძე-2 („კახეთი“), ნოზაძე („იმერეთი“).

„სიხარული-90“ (გაგრა) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 1:2. მსაჯი ე. სალაგაევ (თბილისი). გოლები: გოგიაშვილი („სიხარული-90“), ბაწაშვილი, ზაალიშვილი („ალაზანი“).

„ხამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „არმაზი“ (მცხეთა) 1:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი). გოლები: ჯიქია („სამეგრელო“), სონღულაშვილი („არმაზი“).

„სჭური“ (წალენჯიხა) — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 5:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი). გოლები: ნიკოლაიშვილი, მაჭაკარია, კვირტია, შანავა, ოთინაშვილი („სჭური“).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მარგვეთი“ (ზესტაფონი)	30	21	3	6	70-33	66
„ხულორი“ (ვანი)	30	20	4	6	63-41	64
„ალაზანი“ (გურჯაანი)	30	20	4	6	57-29	64
„კახეთი“ (თელავი)	29	16	6	7	51-29	54
„არაგვი“ (დუშეთი)	30	13	10	7	47-41	49
„სიხარული-90“ (გაგრა)	30	14	4	12	52-40	46
„ხიონი“ (ბოლნისი)	30	11	8	11	54-50	41
„მაღაროელი“ (ზესტაფონი)	30	12	4	14	46-54	40
„იმერეთი“ (ხონი)	30	11	7	12	32-42	40
„სჭური“ (წალენჯიხა)	30	11	6	13	57-53	39
„ხაპოვნელა“ (თერჯოლა)	30	11	6	13	39-41	39
„შუქურა“ (ქობულეთი)	30	9	12	9	44-43	39
„არმაზი“ (მცხეთა)	30	10	8	12	46-55	38
„ქართლი“ (გორის რ-ნი)	29	11	4	14	41-39	37
„ჩიხურა“ (საჩხერე)	30	10	5	15	32-46	35
„ბახტრიონი“ (ახმეტა)	30	8	8	14	34-57	32
„ხამეგრელო“ (ჩხოროწყუ)	30	6	14	10	37-39	32
ფიზ. ინსტ. (თბილისი)	30	7	8	15	33-51	29
ხტუ	30	8	1	21	35-69	25
„დურუჯი“ (ყვარელი)	30	7	4	19	33-51	25

საბჭოთა კავშირის პირველობა ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ.“ კ.	22	14	6	2	41-15	34
„სპარტ.“	22	12	5	5	37-19	29
„დინ.“ მ.	22	11	7	4	25-21	29
„ცსკა	22	11	5	6	38-23	27
„ტორპ.“	22	11	4	7	24-23	26
„დნეპრი“	21	10	6	5	35-21	26
„შახტიორი“	23	6	9	8	23-31	21
„არარატი“	22	7	6	9	23-22	20
„მეტალ.“	22	5	8	9	11-24	18
„ჩერნ“.	23	7	3	13	22-29	17
„პამირი“	21	6	4	11	19-29	16
„როტორი“	22	3	6	13	12-37	12
„დინ.“ მნ.	22	4	3	15	16-32	11

I ლიგა

7 ოქტომბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის მატჩები: „ტავრია“ (სიმფეროპოლი) —„მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 2:2; „ტირასი“ (ტირასპოლი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — 1:1; „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „ნეფტჩი“ (ბაქო) 4:1. „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 6:2; „კაირატი“ (ალმა-ათა) — „სპარტაკი“ (ვლადიკავკაზი) 0:3, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 2:1; „კუზბასი“ (კემეროვო) — „დინამო“ (სტავროპოლი) 0:1; „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 0:1; „შინიკი“ (იაროსლავლი) — „ლოკომოტივი“ (ნიჟნი ნოვგოროდი) 1:0

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტ.“	33	19	9	5	61-25	47
„ფახთაქ.“	33	19	8	6	67-40	46
„მეტალ.“	33	17	12	4	51-25	46
„შინიკი“	33	16	7	10	45-35	39
„დინ.“ სტ.	33	16	6	11	45-34	38
„ლოკ.“ მ.	32	14	9	9	37-29	37
„ნისტრუ“	33	12	11	10	39-36	35
„ნეფთჩი“	33	12	9	12	47-41	33
„დინ.“ სხ.	31	12	8	11	24-29	32
„ფაკელი“	33	11	9	13	34-40	31
„გეოლოგი“	33	11	9	13	31-38	31
„ტავრია“	33	8	15	10	30-34	31
„როსტს.“	33	10	9	14	33-45	29
„ლოკ.“ ნ. ნ.	33	9	11	13	34-45	29
„ტირასი“	33	8	13	12	25-40	29
„კაირატი“	33	9	10	14	32-43	28
„ზენიტი“	33	8	12	13	34-36	28
„კოტაიკი“	33	9	9	15	35-45	27
„ყუბანი“	33	10	6	17	28-46	26
„კუზბასი“	32	4	6	22	21-47	14

ეროვნული ბიბლიოთეკა

GENS UNA SUMUS

მატჩი მსოფლიო პირველობაზე

ყაიმი პირველ პარტიაში

132-ე პარტია კასპაროვსა და კარპოვს შორის, მათი 121-ე სამატჩო შეხვედრა — ორთაბრძოლების ასეთი სიხშირე თავისებურ რეკორდად დარჩება ჭადრაკის ისტორიაში.

პირველ პარტიაში თეთრებით თამაშობდა პრეტენდენტი. კასპაროვმა აირჩია ძველინდური დაცვა, რომელიც ადრინდელ მატჩებშიც მეტოქეთა დავის საგანი იყო. რა თქმა უნდა, კარპოვი მოელოდა კიდეც ამ დაცვის გამოყენებას, რომელსაც ორმხრივ რთული თამაშისაკენ მივყავართ. მან აირჩია ზემოშის სისტემა ძველინდური დაცვის წინააღმდეგ, გაგრძელება, რომელიც ამ ცნობილმა გერმანელმა თეორეტიკოსმა 20-იან წლებში დაამუშავა და დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს. საყურადღებოა, რომ კასპაროვმა მიმართა საინტერესო სქემას, რომელიც ამერიკელ დიდოსტატ რობერტ ბირნს ეკუთვნის. როცა ეს მოხდა, ჟურნალისტებმა მიულოცეს ბირნს, რომელიც ამ მატჩს ესწრება, როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მიმომხილველი.

სამატჩო დარბაზის ფოიეში აშშ-ის მრავალგზის ჩემპიონი, დიდოსტატი იასერ სეირავანი არჩევდა პარტიას მრავალრიცხოვანი გულშემატკივრებისა და ჟურნალისტებისათვის. 10-11 სვლის შემდეგ იგი მიიჩნევდა, რომ კარპოვის პოზიცია უკეთესი იყო. გავიდა კიდევ რამდენიმე ხანი და ჩემპიონმა მთლიანად გაათანაბრა პოზიცია. თეთრები ცდილობდნენ აქტიურად ეთამაშათ ლაზიერის ფრთაზე, სადაც კიდურა პაიკი დაძრეს წინ. ამის საპასუხოდ, როგორც წესი და რიგია, კასპაროვი ცდილობდა ინიციატივას დაუფლებოდა მეფის ფრთაზე. მდგომარეობა საკმაოდ მძაფრი იყო.

თანდათან კარპოვმა დაასწრო მეტოქეს, ბევრი ექსპერტი მას ამ მომენტისათვის უკვე სერიოზულ უპირატესობას ანიჭებდა. მსოფლიო ჩემპიონს ღრმად ჩაფიქრება მოუხდა, რათა თავიდან აეცილებინა უსიამოვნებები. მან შეწირა პაიკი და მონახა უაიმისაკენ მიმავალი საინტერესო გზა. ახლა უკვე კარპოვი ჩაფიქრდა, შეეცადა ენახა თავისი მცირე მატერიალური უპირატესობის რეალიზაციის გზა. როცა მან ეს ვერ მოახერხა, თვთ შესთავაზა 30-ე სვლაზე ყაიმი მეტოქეს. მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ კასპაროვი ისე იოლად ვერ დაალწევდა თავს სიძნელეებს, პრეტენდენტს რომ 23-ე სვლაზე უფრო ზუსტად ეთამაშა.

აი, რა განაცხადა პარტიის დამთავრების შემდეგ იასერ სეირავანმა: „მაღალხარისხოვანი პარტია იყო. რა თქმა უნდა, ზოგი უზუსტობაც შეგვხვდა, მაგრამ მეტოქეებმა თავიანთი ძლიერი მხარეები გვიჩვენეს. კარპოვმა თითქმის არაფრისაგან შემტევი პოზიცია მიიღო, ხოლო კასპაროვმა ბრწყინვალე ტაქტიკური ოპერაციით იხსნა თავი“.

მოგვეგზავნა შანსი თანაბარია

კასპაროვ-კარპოვის მატჩის შემდეგ კორესპონდენტებს მოკლე ინტერვიუ მისცა ამერიკელმა დიდოსტატმა სემუელ რეშევსკიმ.

● რას ფიქრობთ პირველ პარტიაზე?

— გამიკვირდა, რომ კარპოვმა სტარტზევე მწვავე სადებიუტო ვარიანტი აირჩია.

● როგორ აფასებთ მეტოქეთა შესაძლებლობებს?

— კასპაროვს აქვს ერთგვარი უპირატესობა. იგი კარპოვზე უფრო ახალგაზრდაა. ამავე დროს, მსოფლიო ჩემპიონს ხელს აძლევს მატჩის ფრედ დამთავრებაც. ასეთი უმნიშვნელო უპირატესობანი ბოლოს და ბოლოს თავს იყრის ერთად და გარკვეულ გავლენას ახდენს შედეგზე. თუმცა, ეჭვი არ მეპარება, ბრძოლა იქნება ერთობ მწვავე და თანაბარი.

● კასპაროვს ხშირად ადარებენ ალიოხინს, კარპოვს კი კაპაბლანკას. თქვენ ორივე დიდოსტატთან გითამაშიათ. ვინ უფრო ღირსეული მეტოქე იყო?

— ალიოხინი, თუმცა ორივეს გენიალურ მოჭადრაკედ ვთვლი. ალიოხინს წარმოუდგენელი ფანტაზია ჰქონდა, ძალზე ძლიერი და სახიფათო იყო მიტელშპილში.

● როგორი იქნება, თქვენი აზრით, ანგარიში?

— მოგების შანსი ორივე მოჭადრაკეს აქვს. სხვაობა ანგარიშში კი ერთ ქულაზე მეტი არ იქნება.

სამუდამოდ ლოზანაში

სასახლის მოედანი პლას დიუ პალე შვეიცარიის ქალაქ ლოზანას ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. იგი იმითაა საინტერესო, რომ აქაა ძველებური, გოთური სტილის შენობა, რომლის ფრონტონზეც ოქროსფერო ასოებით არის გამოყვანილი „ოტელ დე ვილი“.

სწორედ ამ შენობაში, ლოზანას მუნიციპალიტეტში, მივიდა 1915 წლის 10 აპრილს პიერ დე კუბერტენი, რათა ქალაქის მერთან იურიდიულად გაეფორმებინა ხელშეკრულება ჟენევის ტბის მოსაზღვრე ბორცვზე გაშენებულ ამ ქალაქში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შტაბ-ბინის დაფუძნების თაობაზე. იქიდან მოყოლებული, ლოზანა თანამედროვე ოლიმპიზმის ცენტრია.

საინტერესოა, თუ მაინცდამაინც ლოზანა რატომ ამოირჩია კუბერტენმა? იგი პირველად 1908 წლის შემოდგომაზე ჩავიდა იქ იმის გასარკვევად და შესაფასებლად, რამდენად მზად იყო ქალაქი ფიზიოლოგიისა და სპორტის ფსიქოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილი ოლიმპიური კონგრესის ჩასატარებლად. 1913 წლის მაისში ლოზანას უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში გამართული ამ კონგრესის წარმატებამ დიდად განაპირობა ბარონს ის არჩევანი, რომელიც მან ორი წლის შემდეგ გააკეთა.

და მაინც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შტაბ-ბინის ლოზანაში განლაგება ერთგვარად იძულებით მოხდა. მისი პარიზში დატოვება, კუბერტენის აზრით სარისკო იყო, თუნდაც იმიტომ, რომ ომი მიმდინარეობდა. ამასთან, საფრანგეთის მთავრობა საჭიროდ არ მიიჩნევდა ოლიმპიური მოძრაობისა და კუბერტენის პირადი დამსახურების ოფიციალურად აღიარებას. იგი არავითარ ფინანსურ დახმარებას არ უწევდა ბარონს, რის გამოც ძნელი იყო სოკ-ის ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების გაღება.

ნეიტრალურ შვეიცარიაში ცხოვრობდა კუბერტენის ძველი მეგობარი, მდიდარი და გავლენიანი ბარონი გოდფრუა დე ბლონე. გახდა რა 1898 წელს სოკ-ის წევრი, მან სახელი გაითქვა როგორც შვეიცარიის ოლიმპიური კომიტეტის შექმნის მოთავემ. ცნობილმა მეცნიერ-ეგვიპტოლოგმა, ლოზანასთან ახლომდებარე ვრცელი მამულის მფლობელმა — დე ბლონემ, შესთავაზა კუბერტენს, რომ ომის პერიოდში სოკ-ის არქივები შეენახა კაზინო „მონბენონში“. ხოლო როდესაც პატრიოტულად განწყობილმა კუბერტენმა ფრონტზე წასვლა ითხოვა, სოკ-ის ხელმძღვანელობა დროებით დე ბლონემ ითავა.

ასე აღმოჩნდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შტაბ-ბინა ლოზანაში. მალე კუბერტენიც იქ ჩავიდა და 1916 წელს ოლიმპიური ინსტიტუტი და სპორტული პედაგოგიკის საერთაშორისო ბიურო ჩამოაყალიბა. 1918 წელს ფინანსურ სიძნელეებთან დაკავშირებით ბარონი იძულებული გახდა გაეყიდა პარიზში, უდიხის ქუჩაზე მდებარე მშობლების სახლი და ლოზანაში დამკვიდრებულიყო, იგი ცხოვრობდა და საქმიანობდა ვილა „მონრეპოში“, რომელიც მუნიციპალიტეტის ხელისუფლებამ სოკ-ის განკარგულებაში გადასცეს.

კუბერტენების ოჯახი ბევრს მომთაბარეობდა. ასეთი ცხოვრება ერთი მხრივ ბარონესას დაუდეგარი ხასიათით, მეორე მხრივ კი ქალიშვილის — რენეს ჯანმრთელობის მდგომარეობით იყო გამოწვეული (იგი ბავშვობიდან ფსიქიურად იყო დაავადებული და მუდმივ ჰოსპიტალიზაციას საჭიროებდა). ეს უკან სწევდა ოჯახის ცხოვრებას, რომელიც ისედაც გატანჯული იყო ქალიშვილზე ექვსი წლით უფროსი ვაჟიშვილის პრაქტიკულად სრული უძლურობის გამო. ასეთია პიერ დე კუბერტენის პირადი ცხოვრების ტრაგიკული მოვლენები.

აღსანიშნავია ბარონის მეუღლის მიერ შეტანილი წვლილი ოლიმპიურ საქმიანობაში. იგი ერთადერთი შვილი გახლდათ ხელოვნების ნიმუშების დიდი მოყვარულის და კოლექციონერის, ცნობილი ფრანგი დიპლომატის გუსტავ როტანისა. ბარონესამ მამისგან გვარიანი მემკვიდრეობა მიიღო. თუმცა მალე მისგან ბევრი აღარაფერი დარჩა. საქმე ის არის, რომ ბარონესა საკუთარი მემკვიდრეობიდან ანაზღაურებდა მეუღლის პროექტების ხარჯებს.

ოცდაათი წლის მანძილზე, ბარონის გარდაცვალების შემდეგ (იგი 1937 წლის 2 სექტემბერს გარდაიცვალა გულის შეტევით), ოლიმპიური მოძრაობის ცენტრი ვილა „მონრეპო“ გახლდათ. 1968 წლის აპრილში მუნიციპალიტეტმა სოკ-ის შტაბ-ბინა ჟენევის ტბის ნაპირზე მდებარე ციხე-დარბაზ შატო დე ვიდში გადაიტანა. იგი კომიტეტს უსასყიდლოდ და განუსაზღვრელი ვადით გადაეცა.

გადიოდა წლები. ოლიმპიური მოძრაობა ძალებს იკრებდა. იზრდებოდა სოკ-ის სამდივნოს თანამშრომელთა სამუშაოების მოცულობა. 1980 წელს სოკ-ის პრეზიდენტად არჩეული ხუან ანტონიო სამარანჩი ლოზანაში დამკვიდრდა და საგრძნობლად გააფართოვა კომიტეტის მოღვაწეობა. საბოლოოდ ძველ ციხე-დარბაზში სივიწროვე იგრძნეს და ნებართვა მიიღეს მის მახლობლად ახალი ნაგებობის ასაშენებლად.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრის, მექსიკელი პედრო რამირეს ვასკესისა და ლოზანელი არქიტექტორის ჟან პიერ კოენის პროექტით აშენებული ახალი კორპუსი საზეიმოდ გაიხსნა 1986 წლის 12 ოქტომბერს. ამგვარად, სოკ-ის შტაბ-ბინა ამჟამად შუშის გალერეით დაკავშირებული ორი ნაწილისაგან შედგება. ძველი ციხე-დარბაზი პრეზიდენტსა და მის სამდივნოს უკავია, ახალ შენობაში კი ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლები საქმიანობენ.

აღსანიშნავია, რომ განვლილ ათწლეულებში საგრძნობლად შეიცვალა ურთიერთდამოკიდებულება ლოზანას საქალაქო და სოკ-ის ხელისუფლებს შორის. განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა შვეიცარიის ფედერალურმა საბჭომ 1981 წლის 8 ივლისს სოკ-ი იურიდიულ პირად აღიარა ქვეყნის ტერიტორიაზე, ორი თვის შემდეგ კი ოფიციალურად მიანიჭა საერთაშორისო ორგანიზაციის სტატუსი. თუ სამოცდაათი წლის განმავლობაში ქალაქი სოკ-ის შტაბ-ბინის მიმართ ერთგვარი ფილანთროპის როლში გამოდიოდა, ამჟერად პარტნიორები გახდნენ. კერძოდ, ლოზანას მერიამ და სოკ-მა ერთობლივად გაღებული ხარჯებით ქალაქის პრესტიჟულ კვარტალ უშში ოცდაცამეტი ათასი კვადრატული მეტრი ფართობის ორ ნაწილად გაყოფილი მიწის ნაკვეთი შეიძინეს.

ნაკვეთის იმ ნაწილში, რომელიც სოკ-ის კუთვნილებაა, აგებულია ძველებური კოხტა ნაგებობა, რომელსაც „ოლიმპიკ ვილა“ ეწოდა. აქ სოკ-ის პრეზიდენტი გამორჩეულად პატივსაცემ სტუმრებს მასპინძლობს. რაც შეეხება ქალაქის კუთვნილი ნაკვეთის ნაწილს, მალე იქ ოლიმპიური პარკი გაშენდება. მისი მთავარი ღირსშესანიშნაობა იქნება კომლექსი, რომელშიც ახალ ოლიმპიურ მუზეუმთან ერთად ბიბლიოთეკა, ოლიმპიური გამოკვლევების ცენტრი, აუდიოვიზუალური ინფორმაციის ცენტრი და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ფოტოთეკა მოთავსდება.

მოამზადა ბელა ჯილაურმა

პრეზიდენტი საპატიო დოქტორიც გახდა

ტოკიო. ადგილობრივმა უნივერსიტეტმა „ნიხონმა“ საპატიო დოქტორის ხარისხი მიანიჭა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ხუან ანტონიო სამარანჩს. ეს მოხდა სოკ-ის სესიის მუშაობის პერიოდში.

დაჯილდოების დროს უნივერსიტეტის რექტორმა გაუსვა ხაზი სამარანჩის დამსახურებებს და აღნიშნა, რომ იგი წლების მანძილზე ერთგულად ემსახურება ოლიმპიზმის იდეებს და თავდაუზოგავად იბრძვის მშვიდობისა და კეთილმეზობლობისთვის მთელს მსოფლიოში.

ნბა ევროპაშიც?

ეს იდეა სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს და პოპულარული ხდება, განსაკუთრებით იტალიაში. კალათბურთის სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ევროპის პროფესიული ლიგის (ნბა-ს მსგავსად) შექმნას წინ აღარაფერი უდგას. მით უფრო, რომ ასეთი ლიგა შემოსავლის განსაკუთრებით დიდ წყაროს წარმოადგენს (პირველ რიგში, ტელერეკლამების დახმარებით).

იტალიის საკალათბურთო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის ლუიჯი პორელის აზრით, პროფესიულმა ლიგამ უნდა იარსებოს მდიდარი სპონსორების მხარდაჭერით, რომლებიც ამ წამოწყებაში რამდენიმე მილიონ დოლარს დააბანდებენ. გარკვეული მხარდაჭერა საჭიროა კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის მხრიდანაც.

მეორე, არანაკლებ დაინტერესებული პირი, ესპანეთის ფედერაციის პრეზიდენტი პედრო საგი ფიქრობს, რომ პროფესიულ ლიგაში უნდა გაერთიანდნენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიც, სადაც პოლიტიკური სიტუაცია ბოლო დროს მკვეთრად შეიცვალა.

პორელის ოპტიმიზმს საკმაოდ რეალური საფუძველი აქვს. იგი, პირველ რიგში, იტალიის ეროვნული ჩემპიონატისადმი გაზრდილ ინტერესს ემყარება. გასულ სეზონში ჩემპიონატის მატჩებს დაესწრო 2,1 მილიონი მაყურებელი. ბილეთების გაყიდვით შემოსულმა თანხამ კი 29,2 მილიარდ ლირას მიაღწია (დაახლოებით 26 მილიონ დოლარს). ინტერესი ეროვნული ჩემპიონატისადმი ყოველწლიურად მატულობს და პორელიც ამ ტენდენციის მაქსიმალურად გამოყენებას გულისხმობს.

სხვათა შორის, იტალიის კალათბურთის მაგალითზე ევროპის პროფესიული ლიგის შექმნას ჟურნალისტებიც და მიმომხილველებიც უჭერენ მხარს. ცნობილია იმიც, რომ ეროვნულ ჩემპიონატში ხალისით აბანდებენ სახსრებს საკმაოდ სოლიდური კორპორაციები და ფირმები. ამის ერთი მკაფიო მაგალითი გახლავთ რომის კლუბის „მესაჯეროს“ ბოლოდროინდელი პროგრესი. კლუბს მხარს უჭერს და აფინანსებს აგარული კონცერნი „ფირუცი“ და შედეგიც, როგორც იტყვიან, სახეზეა. „მესაჯეროს“ საშუალება აქვს დაუბრკოლებლად შეისყიდოს საზღვარგარეთელი „ვარსკვლავები“ და მათ საკმაოდ დიდი თანხაც გადაუხადოს. მიმდინარე სეზონში რომის კლუბმა იყიდა იუგოსლავიელი დინო რაჯა და ნბა-ს ლიგის ყოფილი პროფესიონალი მაიკლ კუპერი. სხვათა შორის, ანგარიშგასაწევია ერთი გარემოებაც: „მესაჯერომ“ ღინო რაჯასთვის ფინანსური ბრძოლა მოუგო ისეთ ძლიერ და მდიდარ კლუბს, როგორიც „ბოსტონ სელტიკსი“ გახლავთ. ეს ფაქტი იტალიური კლუბის დიდ შესაძლებლობებზე მიგვანიშნებს.

ასევე მდიდარ კლუბთა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ ქალაქ პეზაროს „სკავოლინი“, რომელიც წლეულს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში გამოდის. ამ წარმატებას კლუბი უმთავრესად უცხოელთში შეძენილ ვარსკვლავებს — ამერიკელებს დარვინ კუკსა და დარელ ძიუს უნდა უმადლოდეს. ალბათ იცით, რომ „სკავოლინი“ წლეულს „მაკდონალდის“ ტრადიციულ ტურნირში იასპარეზებს ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელ „იუგოპლასტიკასთან“ და ნბა-ს კლუბ „ნიუ-იორკ ნიკსთან“ ერთად.

როგორც ხედავთ, ევროპის პროფესიული ლიგის შექმნას საკმაოდ მყარი საფუძველი აქვს. ახლა საქმე ისაა, დაუჭერენ თუ არა მხარს იდეას კონტინენტის სხვა ქვეყნებიც.

რედაქტორის მოადგილე
თ. მიგრიაული

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ზ. კახაძე. კორექტორები მ. ძეძამიძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380000, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54, „მერანი“ — 93-97-20, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20